# ზემოქმედების ვერბალური ხერხები პოლიტიკურ დისკურსში (საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლების მასალაზე დაყრდნობით)

**ქეთევან ზოდიაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპრაკებები / ეკონომიკა

(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემა ქსოვრელი, ფილოლოგიის დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგსიტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

**ქეთევან ზოდიაშვილი**

**25.01.2022**

# აბსტრაქტი

ვერბალური პოლიტიკური ზემოქმედება, უძველესი დროიდან მოყოლებული დიდ როლს თამაშობდა კაცობრიობის ისტორიაში. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ოცდამეერთე საუკუნეა. პოლიტიკოსები უამრავ სხვადასხვა ტიპის მანიპულაციურ ტაქტიკებსა და რიტორიკულ ხერხებს იყენებენ, რათა მასების ცნობიერი მოაქციონ თავიანთი გავლენის ქვეშ. ქვეყნის ლიდერები და მაღალი თანამდებობის პირები ამ მეთოდების გამოყენებით, გავლენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მოვლენებზე.

არსებულ ნაშრომში განხილულია სამი სხვადასხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებისა და ქვეყნების ლიდერების საჯარო გამოსვლებიდან ამოღებული ფრაგმენტები, რომლებიც გამოყენებულია სხვადასხვა ტაქტიკების დასასაბუთებლად, ამის საფუძველზე კი საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა.

აღნიშნული თემა, ვფიქრობ, ნებისმიერ დროში აქტუალურია იმისათვის, რომ მოხდეს პოლიტიკური გარემოს ანალიზი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ვერბალური პოლიტიკური ზემოქმედება, რიტორიკა, ეთოსი, პათოსი, ლოგოსი.

# Abstract

Verbal political influence always played an important role in the history of humanity. Of course, XXI century is not an exception. Politicians use countless different types of manipulative tactics and rhetorical methods to bring the consciousness of the masses under their influence. The leaders of the countries and senior officials  are influencing politics, economy, culture and social event using these methods.

In this research paper the public statements of senior officials and leaders of three very different countries are discussed in terms of substantiating different tactics based on which a relevant conclusion is made.

In my opinion, this paper is relevant to analyze political environment.



**Key words**: verbal political influence, rhetoric, ethos, pathos, logos.